

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ. გარდაბანი

30 სექტემბერი 2025 წელი 11 სთ.

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 30 სექტემბერს. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:

1. ლია მეტრეველი
2. მათა შამედოვა
3. ფლორა ასკაროვა
4. ზურაბი კორახაშვილი
5. მირზა მირზოევი
6. დავითი ებილაშვილი
7. კამრან ბაბაევი

არ ესწრებოდა:

8. აკიფ ისმაილოვი
9. ვახუშტი აბულაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გიორგი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

კენჭი უყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციის შესაბამისად, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში, განსახილველად შემოვიდა - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 29 სექტემბრის №1020 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 27-30 აგვისტოს, ბულგარეთში (ქ. სოფია) გამართულ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, გიორგი ქარჩაიძემ (პ/ნ. 01311113674)+90 კგ. წონით კატეგორიაში, დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია ბადრი ბედიანაშვილი (პ/ნ. 12001019004).

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ, 2025 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე განიხილა სპორტსმენის გიორგი ქარჩაიძის შესაძლო დაჯილდოება 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით, ხოლო მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის შესაძლო დაჯილდოება 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარით - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილების შესაბამისად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს სპორტსმენის გიორგი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხის გატანას, შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

კომისიამ დაადგინა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გიორგი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ საკითხი გავიდეს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:











თამარ ხაჩიძე

2025 წლის 30 სექტემბერი

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე










დამსწრეთა ხელმოწერა

11. სთ .

1. თამარი ხაჩიძე 
2. ლია მეტრეველი 
3. მირზა მირზოევი 
4. კამრან ბაბაევი 
5. მათა შამედოვა 
6. დავითი ებილაშვილი 
7. ზურაბი კორახაშვილი 
8. აკიფ ისმაილოვი
9. ფლორა ასკაროვა 
10. ვახუშტი აბულაძე

კენჭისყრა საკითხებზე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის გიორგი ქაჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე		
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	მაია შამედოვა		
6	დავითი ებილაშვილი		
7	ზურაბი კორახაშვილი		
8	აკიფ ისმაილოვი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ვახუშტი აბულაძე	